ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 03-16/12

<u>სახელმწიფო შესყიდვის შესახებ</u>

ქ. თბილისი **11 თებერვალი, 2011 წ.**

ერთის მხრივ, ბათუმის რესურსცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი უფროსი, მერაბ სამნიძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს.„რომპეტროლ საქართველო" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ალექსანდრ ალბინი, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის და "სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახე" დებულების 23-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია დიზელის საწვავის შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია:

ა) 120 ლიტრი ევროდიზელის მარკის საწვავი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში:

ა) ერთი ლიტრი ევროდიზელის საწვავის ფასი შეადგენს 2,05 ლარს (შესაბამისად, 120 ლიტრის საერთო ღირებულებაა 246 ლარი);

2.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 246 (ორასორმოცდაექვსი ლარი) ლარს, რაც შეიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა თანმდევ ხარჯს, მათ შორის, დ.ღ.გ.-ს და საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურებიდან მის გაცემამდე.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი, მისი ექსპლუატაციის დროს არ გამოავლენს დეფექტებს.

3.2 ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

4. შესყიდვის ობიექტი მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტალონური სისტემით, მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურების ქსელის მეშვეობით.

4.2 საწვავის ტალონების შემსყიდველისათვის გადაცემა განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2011 წლის 28 თებერვლამდე, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4.3 საწვავის ტალონების ყოველ პარტიას უნდა ახლდეს სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შემსყიდველის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის შეკვეთიდან არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია დაამზადოს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს შემსყიდველს (სპეციალური მინდობილობით აღჭურვილ პირს) მოთხოვნილი რაოდენობის საწვავის ტალონები ლიტრობრივ ერთეულებში (10 და 20 ლიტრიანი ტალონის ნომინალებით). ტალონების გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან, უკვე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას.

ტალონზე ასევე აღნიშნული უნდა იყოს:

- მიმწოდებლის ლოგო წარწერით;
- ტალონის ნომერი;
- საწვავის სახეობა;
- საწვავის რაოდენობა.

5.2 საქონლის გაცემა წარმოებს შემსყიდველის მიერ დამოწმებული ტალონების საფუძველზე, რისთვისაც შემსყიდველმა ტალონის უკანა მხარეზე უნდა დასვას თავისი ბეჭედი. დაუმოწმებელ ტალონზე საქონელი მის დამოწმებამდე არ გაიცემა.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის კუთვნილი და სათანადო წესით დამოწმებული ტალონის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისთანავე გამართოს ავტომანქანა და/ან ჭურჭელი ტალონში აღნიშნული საქონლის ხარისხითა და რაოდენობით. საწვავის გაცემა ხდება სათანადო წესით დამოწმებული ტალონის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე.

5.4 ავტოგასამართ სადგურზე ტალონების წარმოდგენისთანავე შემსყიდველი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ტევადობების ან/და ჭურჭლის წარმოდგენა. ტალონებზე საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს საწვავის საფასური წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 მუხლის მიხედვით საწვავის ტალონების გადაცემაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.3 ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
- უარი თქვას უხარისხო საქონლის მიღებაზე.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
- დროებით (არაუმეტეს 1,5 საათისა) შეაჩეროს საწვავის გაცემა ამა თუ იმ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლების უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი;

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- გადასცეს შემსყიდველს საქონლის მიღებისათვის საჭირო ტალონების რაოდენობა;
- გააფრთხილოს შემსყიდველი საქონლის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები.

8.5 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.

8.6 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დაარიცხოს შემსყიდველს პირგასამტეხლო დროულად გადაუხდელი თანხის

0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

8.7 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 28 თებერვლამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 საწვავის ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ქვემოთჩამოთვლილ შემთხვევებში:

- საგარეო და შიდა ბაზარზე საწვავზე ფასების 5%-ით ან მეტით ცვალებადობის შემთხვევაში, როგორც ზრდის, ასევე შემცირების შემთხვევაში, რისთვისაც გამოყენებული იქნება ნავთობპროდუქტების საერთაშორისო სავაჭრო ინდიკატორის PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) CIF Med Genova/Lavera) მონაცემები (კოტირებები), შესაბამისი საქონლის სახეობაზე წინამდებარე ხელშეკრულების დადების თარიღისა და საქონლის მიწოდების (შეკვეთის განხორციელების) მომენტისათვის არსებული განსხვავების შედარებით;
- ეროვნული ვალუტის კურსის ცვალებადობის მიხედვით აღნიშნული კურსის აბსოლუტური მნიშვნელობის 5%-ზე მეტი ცვლილების შემთხვევაში, როგორც ზრდის, ასევე შემცირების შემთხვევაში, რაც უშუალო ზეგავლენას მოახდენს ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე და გაზრდის ან შეამცირებს ფასებს;
- საგადასახადო რეჟიმის შეცვლის შემთხვევაში, რაც უშუალო ზეგავლენას მოახდენს ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე და გაზრდის ან შეამცირებს ფასებს 5%-ით ან მეტით;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას.

10.2 ფასების შეცვლის ინიციატორმა მხარემ წინასწარ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობითი ფორმით. ფასების ცვლილება ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასარულების შემდეგ.

11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება დამატებითი კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, ეკისრება ბესარიონ არველაძეს – გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის აპარატის უფროსს.

13.2 მიმწოდებელი ვალდებულია ყოველგვარი დაბრკოლებისა და შეზღუდვების გარეშე უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:
ბათუმის რესურსცენტრი
მის: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №1
ს/კ 245568318 აჭარის ხაზინა
სს „საქართველოს ბანკი"
ა/ა GE78BG0000000886744500
ბანის კოდი: BAGAGE

ბათუმის
რესურსცენტრის უფროსი

მ. სამნიძე

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „რომპეტროლ საქართველო"
მის: ქ. თბილისი, სანაპიროს №6
ტელ:910727/910778 ფაქსი:910763
სს „საქართველოს ბანკი"
ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა № 119347600
ს/კოდი: 204493002

გენერალური დირექტორი

ალექსანდრე ალბინი

ინფორმაცია
ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ
ფორმა №3
(ივსება მიმწოდებლის მიერ)

№	საქონლის აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	მიწოდებლის ადგილი	მიწოდების ვადა
1	ევროდიზელის" მარკის დიზელის საწვავი	120	2,05	246	ქ.ბათუმი	2011 წლის თებერვალი
	ჯამი:	120		246		

შემსყიდველი

მიმწოდებელი